


1 1998
იანვარი

136
1998

ISSN 0132-6015



ნახსენა

აგს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სხეულად რა დავარქო?

საბინობა და იუპორის
შპრხაღი

82



ღვირფასო! იქნებ მიძღურო რამე ორ სმაში!

ნახ. ჯამალ ლოლუასი
თემა ჭაბუკა ღმისაძისა

განხილვა-განკითხვა

ედუარდ შევარდნაძეს



მშობლებს უნდოდათ ედიკა გამოეზარდათ მედიკად — შვილმა სხვარიგად გათვალა ცხოვრების არითმეტიკა.

თუმცა გარშემო ეხვიან მოძალადე და “პედიკა” — არასდროს დაურღვევია პოლიტიკური ეთიკა.

“ნიანგის” გადამრჩენელმა იცის, ნიანგი ერთი ჰყავს, — ხომ კვლავ გახსოვართ? — გვინდოდა საახალწლოდაც გვეკითხა.

ვიცი, უნდოდა ვლადისთვის თითი თვალეში “ეტიკა”. ჯერ ორმოცისაც არ არის, არ ენდოთ მაგის მეტრიკას.

ჭაბუა ამირეჯიბს

ვაჩუქოთ ბატონ ჭაბუას წელი ათი და ათასი, თვით უკვდავება შეჰყროდეს იმ თუთაშხია დათასი. სიცოცხლის ძაფი ეჭიროს ვით არიანდნეს გორგალი,

ასლან აბაშიძეს



ქართული პროზის ტრამალზე გორაბ, მთაი მბორგალი.


მურმან ლეხანიძეს

დაგვიანებით გილოცავთ მურმან-ბატონო, ბოდიში, იმ საზეიმო ვახშამზე ვერ გეახელით “ოდიშში”.



არ მოგკლებოდეს მუზები ოთხმოცდამეთვრამეტეშიც, ასი წლის თავზე გენვევოთ ხუთვარსკვლავიან მეტეხში.

გენის შიფრით მემკვიდრობ მემედსა და ჰეიდარს, ერთნაირად უყვავებ ჯანსრულსა და ხეიბარს, არ იბნევი, სიტყვისთვის ჯიბეში არ მიძვრები, იცი, ყველას გვეზება რაც რომ მოხდა, ის ძვრები.



საახალწლოდ, როს ყინავს, მზეც რომ აღარ მზენვიობს, იქნებ, ასლან, ძვირფასო, ერთხელ თბილისს გვეწვიო!

ირინა სარიშვილს

თუცა ქალია, მოღვანედ მართ ღმრთისა დანაბადია,



სტალინი


მოქალაქეთა კავშირის
მოურჩენელი დარდია...
ამხელა პოლიტპარტიის
მუხლჩაუხრელო გადიავ,
ახალი წლიდან გისურვებთ
გზებს უეკლოს და ვარდიანს.

თამაზ წივნივაძეს

არად მიდირს "ბეტყერი"
და არც ტანკის ფანტომი,
რა "მუხა", რის
ცეცხლსატყორცნი,
რაკეტა და ატომი.
მტერო, ქურდო, უნამუსოვ

მერაბ ბერძენიშვილს

შენს "მედვას" და შენს
"მუხას"



დრო და უამი ვერას უზამს,
სამუდამოდ აქ არიან
დავითი და ზაქარია.



ცამდე თუ ვერ ამალღდი —
ეს გრგვინავს
"ლიტსაქართველო",
ჰაუბიცა ქალაღდის.
სხვაფრივ ღმერთს მე არ
ვანუხებ,
ვეაჯები ამაზე:
უმრავლებდეს საქართველოს
მეზარბაზნე თამაზებს.

ელგუჯა ამაშუკელს


რა ხდება, ამაშუკელო:
თიხასთან თამაშს უკელო,



ეგება რამე მოზილო
ვენერასაებ უხელო.

რომან მიმინოშვილს ("აკციპიტერს")

შეგიგოძენია კვნესა რომის,
პენელოპას კრთომანი,
დეუტატის დეუტატთან
შენიღბული რომანი.
ლათინურად "ქორს"
გიხმობენ,
ქართველურად —
"მიმინოს",
დაე, შენმა შემართებამ



ბასრი სიტყვით გვერღში
გვედგას
"აკციპიტერ" — რომანი.

ვახტანგ აბაშიძეს

ვაცხადებ დაუფარავად
სახელღობრ რა მშურს
ვატოსი:
კაცური, მოქალაქური
და ეროვნული პათოსი.
ღირსება რომ არ აკლია



ეს კაცის დიდი ნაკლია.
ერთსაც აღენიშნავ: იმიჯით
ვახტანგი დღეს ირაკლია.

"ნიანგის" დავალებით
მამა თეღია
მეგობრული შარეები
გელა დურგლიშვილისა

მკითხველთა კამპანია

— მოყავთ, მოყავთ!
ხალხით გაჭედვილ სასამართლო დარბაზს ექოსავით გადაუარა ჩურჩულმა.

— ეგ საზიზღარი, ეგა... სისინებდნენ ქალები.

— თანაც იუმორისტი ყოფილა!

— იუმორისტი კი არა, სადისტია! ბრალდებული გაძლიერებული ბადრაგით შემოიყვანეს.

— სასამართლო მოდის! — ცივი ხმით წამოიძახა სასამართლოს



მოხელემ.

ყველა ფეხზე წამოდგა სკამების ბრაზუნით.

შავ მანტიამი გამოწყობილი მოსამართლე დაჯდა და სამჯერ ძლიერ დაჰკრა ხის ჩაქუჩი ხისავე მრგვალ ფილას. შემდეგ მის წინ გაშლილ ქაღალდებში ჩაიხედა.

— მოქალაქე მზარეულაშვილი.

ბრალად ედება ხუთი ადამიანის დახრჩობა, ცოლის, ორი შვილის, სიდედრის და მასთან შემთხვევით შესული მეზობლის... ცოლი და შვილები გამოვიდნენ მდგომარეობიდან. სიდედრი და 35 წლის მეზობელი სარეანიმაციო განყოფილებაში არიან მძიმე მდგომარეობაში...

მოსამართლე ერთხანს მის წინ გაშლილ ქაღალდებს ჩააშტერდა, მერე თავი ასწია და განწირული კაცის იერით მიანვა სავარძლის მაღალ ზურგს.


— შეუძლებელია! — ამოილულულა

მან. პროკურორს გადახედა, მან მუდარით გაასავსავა ხელები, მე ნუ წამაკითხებო...

— მაშინ ადვოკატო ყანწიაშვილი! გაგვაცანით მკვლელობის საშუალებანი, დახრჩობის იარაღი! — ხმას აუნია მოსამართლემ და დამცველს შეუბღვირა.

ადვოკატმა ძლივს აითრია წელი, ბრაზით ანთებული თვალი გადაავლო თავის დასაცავ ბრალდებულს და უხალისოდ აიღო მის წინ გაშლილი ფურცლები, შთამბეჭდავი პაუზა გააკეთა და მერე ყველაფერზე ხელჩაქნეული კაცის იერით დაიწყო:

— შემოდგომა კახეთში... უცხოელი სტუმრები, ეს არა... დუ, დუ, დუ... ჰო, აი, აქედან, მოკლედ, უცხოელ სტუმართა დიდი ჯგუფი წაუყვანიათ კახეთში... უცხოელმა



სტუმრებმა დაუფარავი ინტერესით, ალტაცებითა და აღფრთოვანებით მთელი ნახევარი საათი უცქირეს ზღაპრულად გაშლილ კახურ სუფრას ზედ რომ გულუხვად და საოცარი ოსტატობით იყო დალაგებული...

ფუტკრის ფიჭასავით, ოღონდ აცაბაცა დაჩვრეტილი გუდის ყველი, ნასვრეტები რომ ნახევრადა აქვს ამოვსებული გამჭვირვალე ქონითა და არომატით, — სუფრის

ყველა დროის პირის ჩასაგემოვნებლად.

ალაზნის მორევის ფერი, დინჯი ლოქო ყვითლად ჩათქვირული, იქვე ლურჯად მოსივსივე



ცოცხალი და ფორაჯებიანი კალმასი, — მსუბუქად შესანაყრებლად.

ხობის თუ ქათმის ბოზართმა ალყა ხახვით, დანაყილი ნივრითა და ძმრიანი ქინძით, მრგვლად მოხარშული ყვითლად ჩათქვირული დედლები ნიორწყალით, — თეძობარკლის ამოსავლებად გულუხვად.

თოხლის თახთახა ხორცი კომპით, — გულის მოსაოხებლად, პირის ზომიერად გასამყავებლად,


ძროხის, ცხვრის და ღორის ხორცის ჩახობილი, "დავუშვით და სტუმრებს ქათმის ჩახობილის გარდა, ესეც ესიამოვნოთ", — დიასახლისების ინიციატივა. შემწვარი მწყერი თეთრი ნივრის სანებლით, — თავს რომ შეიქცევ, გაერთობი, იქვე დანდური და ლანძილი, ძმრით შემყავებული, ზეთით შერბილებული.

ჩაქაფული, ბულაშა, ჯიგრის ყაურმა, — შოთის წვერების ჩასარტყმელ-ჩასაბუფბუფებელი - რო ჩუხჩუხ-ბუტბუტებს და დახვეული ლავაშის წვერს ჩასცხოვ, გაჩუმდი, შე მამაძაღლოვო!"

ხაშლამა, შავი წინაკის, დაფნის ფოთლის სურნელით გაჯერებული,

დაკვილი ოხრახუშით დამშვენებული. შუა სუფრაზე ჩამოსატარებლად და გულ-მუცლის შესაჯვრებლად. ნითლად მოხრაკული ხბოს და ბატკნის თირკმელები კამით, ოხრახუშით, ნივრით, მადაგადაკტილის მადანზე მოსასვლელად.

კურდღლის ჩახობილი - აქა-იქ, ხანდისხან დედა პურის



ყუის ამოსანობად.

შემწვარი ირმის ხორცი — იშვიათი და მშვენიერი, ლაპარაკი რომ აღარ უნდა!

ბურვავის ჩლიქების მუყუყი ძმრითა და ნივრით — ხასიათზე მისართმევად.

ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა, კამეჩის მანვნით, დარიჩინით, — გულის გასაგრძობლად.

ლორის ხორცის ყალია ქინძითა და ტყემლის ტყლაპით, ლურთიც კი რომ ნიგოზივით იკვნიტება.

ქათმები ჭანჭურის ჩირით, — ჭანჭურს რომ ერთ-ორ ცალს ამოკენკავ და ულისპირსაც აახევ.

ქოთანში დაბუღული წინილები, — ნაზად მისართმევად. პატარა ფრთის ძირს რომ ენას გამოუსვამ და სუფთა ძვალიდა შეგრჩება ხელში.

ვარიები ისრიმისა და მაცვლის წვენში, ქინძითა და ოდნავი ნივრით, საკნატუნებლად, დიდ სასმისზე უცებ მისატანებლად.

შემწვარი ინდაური ალუბლის თუ სოკოს საკმაზით, თვალის და კუჭის საამოდ.

ჭიგოზე აცმული, თონეში ან ფურნეში შემწვარი გოჭი ბრინჯის ან უგრეხლის სატენით, ნეკნების კბილზე გადასამტვრევად!

ტაფაზე შემწვარი ღვიძლი, — ნაზად დათლილი, ხახვმოყრილი.

შამფურზე შემწვარი ბატკანი, რძეში მოხარშული ციკანი, — აღდგომის მირონივით სულზე წასაცხებად!

შეციებული მწვადის ჩახობილი, ბლომად პამიდვრითა და ხახვით! კაკლის ფოთოლში გახვეული და ლადარში ანაზდად გათუთქული კალმახი თუ კლდის მურწა, — გემოთი რომ დაიბნიდება კაცი! ელენტა ქინძითა და ძმრით, თუ ოდნავ ნიორსაც წაცხებით, — ლუკმა სამახსოვრო!


ხბოს ხორცის კუპატი, — სუფრის დასაწყისში ცხლად მისართმევად, გაციებული კი მცირე სასმისზე მისაყოლებლად.

წვეპლა სუკები კეცზე და შამფურზეც, — კერძთა კერძი! ძროხის ბეჭი ცხლად, — თხლად ათილი, ენაზე დასადნობი!

აქა-იქ ჩადგმული ხინკალი, ორთქლიანიც და გახუხულიც, — კუჭში შეჭანჭყარებულ ღვინის შესამაგრებლად, დასაოკებლად.

თელაგურად, უნიჭიერესად შეკმაზული ქამა სოკო, — გუნების ჩასანმენდად და გემოვნების დასატკობობად!

და ბოლოს, ოდნავ ნედლ წალამზე შემწვარი მწვადი, თავის გემოსა და ოხშივარს თან რომ გამოათანს დალოცვილი ვაზიდან



ასლექილი შტო!

ჭაჭის ორნახადი არაყი, ფეხიანი ჭიქითა ისედაც გაღვიძებული მადის მთლად გასახელებლად!

დინჯი ტიბაანი უცებ თავში ასავარდნად და გასაჩერებლად, ჩაის ჭიქიან მომცრო ყანწითა!


მანავის მწვანე შეფერხებული მადის გასახსნელად.

ცივი წინანდალი, წელში გამოყვანილი ჭიქებით, ლოქოზე და თევზეულზე მისაყოლებლად!

საფერავი, შუკუზანი, შემწვარი ნანადირევის თავის დასადგმელად! ჭიქის და ტუჩპირის შესაღებათ!

ქინძმარაული, ახაშენი, — ჩაროზის ჩასაკოკლოზინებლად, თვალში გამოსახედად!

მრავალუი...



ადვოკატმა კითხვა დაამთავრა, ფათი-ფუთით ამოილო ქათქათა ცხვირსახოცი ჯიბიდან და ნერწყვიანი ნიკაპი შეიმშრალა.

დარბაზი გატრუნულიყო. ყველას პირზე თეთრი ცხვირსახოცი ჰქონდა მიფარებული.

ბაგეებზე ცხვირსახოც-აფარებული მოსამართლე წელში გასწორდა და ამოილულულა:

— გააძვევთ... სასამართლოს შენობიდან გააძვევთ, ეგ უნამუსო!

მცველებმა დაავლეს ხელი ბრალდებულს და სულ ნერწყვის წმენდითა და კისრისტეხით გაიყვანეს ოთახიდან.

— კაცი ხარ ახლა შენ? — კვნესით დაადევნა ადვოკატმა. — ჩვენს დროში ამას დაწერდა კაცი? ფუი, შენს ვაჟკაცობას!

— კაცო, ოტელომ, იმ მავრმა, ერთი ქალი დაახრჩო და ამან კი მთელი დარბაზი არ დაგვახრჩო?! — გაისმა ვილაცის სიცილმერეული, გულსმოფონებული ხმა. დარბაზი ახარხარდა...

ზურღან ბემაზაშვილი

უდანაშაულო დამნაშავენი

კუბლენი ქალბატონ ელენე თევდორაძეს

ჩვენ გვყავს ყაჩაღიც, მამისმკვლელიც, ქურდიც, რიოშიც, მაგრამ ხანდახან მკრეხელური მიჩნდება აზრი: ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მთელს მსოფლიოში, სადაც არც ერთი დამნაშავე ციხეში არ ზის!

ციხე სავსება! ვინ დატოვებს ცარიელს ციხეს? საკმარისია, იქ ამოჰყოს ყაჩაღმა თავი, მარად შემტევი მასმედია უკან დაიხევს: მამა აბრამის კრავიანო, ანუ მართალი!

აუქავდება პატიმარსაც უმაღვე მხრები, გრძნობს, რომ ბეჭებქვეშ ანგელოსის ფრთა უღიტინებს, ის უკვე "წმიდა მოწამეა", ნუ შეეხები, თუ იშიმშილებს, შენც ღვარღვარა ცრემლით იტირე!

გარეთ ვინც დადის, მასთან ყველა დამნაშავეა: მისი მოკლული, რა თქმა უნდა, მით უფრო მეტად. ვინ დაამტკიცა, რომ სიშავე მართლა შავია, ვინ განასხვავა ვარდთან ნეხვი, ალფასთან ბეტა?

დანაშაული მრავალია, გვამცნობს "ალია", დამნაშავეს კი ნულარ ეძებ, ნუ ჩაიჭრები. დარჩელში სახლი გადაინვა? — სახლის ბრალია! რა შუაშია ეს "სანწყალი" გოგო-ბიჭები?



- გაიგე? ამერიკაში თურმე დენით კლავენ ხალხს!
- ჩვენთან კი უდენობით!

მონუმე არ უწყის არაფერი, თუ რამ წამოსცდა, "მაიძულესო" — იუარებს, რადგანაც იცის, მხოლოდ დაქცეულს გაახარებს მისი გამოცდა, მხოლოდ მას უნდა მონუმე იყოს ერთგული ფიციხა.


დამაქცევარს კი მონუმე თუ არ გადაეყარა, მთელი ქვეყანა უმადური მაინც დარჩება. სჯობია, ერთი მოიმდუროს, ვიდრე ქვეყანა! ბოლოს და ბოლოს რა საქმე აქვს სანწყალ დარჩელთან?

დარბაზს სიყალბე და სიცრუე ადგას ჭერივით, ახლა რაც ხდება, გეტყვი, შენ ხარ ჩემი ბატონი: ზის მოსამართლე დამფრთხალი და გამოჭერილი, დგას ბრალდებული, ვით კვარცხლბეგზე ტრიუმფატორი.

სხვა დასკვნა აღარ გამომივა მე ამ თემიდან: საქართველოდან შერცხვენილი გარბის თემიდა...

აკციპიტარი

24.09.97. ლონდონი



ნახ. ვახტანგ კუციასი



- ორივეს ძალღური ცხოვრება გვაქვს, იქნებ მეც ამცრათ ცოფზე.

ჩანისაყლის ფრაგმენტი

იუმორის პატრონია ის, ვინც გაჭირვების უამსაც არ კარგავს იუმორის გრძობას. ასეთი იყო ნოდარ დუმბაძე. მაგალითად: ნოდარის მეუღლე — ქალბატონი ნანული დუმბაძე ავად გახდა. ავადმყოფობა გამოიკვეთა მესხიერების დაკარგვით. ვერ გაიხსენა შვილების და მეუღლის სახელი. მიმდინარეობდა მზადება მოსკოვში გასამგზავრებლად. ამ დროს თვითონ ნოდარიც ვერ იყო კარგად. დაღვრემილი იჯდა მეგობრებთან ერთად და გეგმებს ანებდა, როგორ ჭოგეგვარებინა ეს საჭირბოროტო საქმე, საავადმყოფო, გამცილებლები და სხვა მრავალი საკითხი იყო გადასანყვეტი.

რამდენიმე თვით ადრე ჩვენს სასიქადულო პოეტს ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს ნანული დუმბაძისაგან ნასესხები ჰქონდა ათასი მანეთი, (მაშინ კარგი ფული იყო). გაიგო რა ქალ-ნმა იზამ ეს სამწუხარო ამბავი, შეიჭრა დუმბაძეების სახლში და აღელვებული ხმით ნოდარს ეკითხება: “მართალია, ნოდარ, შენი სახელი რომ ვერ გაიხსენა ნანულიმ? ქეთინო და მანანაც ვერ გაიხსენა? “მართალია, გოგო, მართალი! — უპასუხა ნოდარმა — ყველაფერი დაავიწყდა, აღარაფერი არ ახსოვს, მარა სულ იმას გაიძახის, იზას რომ ათასი მანეთი ვასესხე, როდის მომცემსო!”

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი გაიხსნა ფალიაშვილის ქუჩის სკვერში. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ნოდარ დუმბაძე. გახსნის ცერემონიალი რომ დამთავრდა, ბატონი ედუარდი ეკითხება ნოდარს: “როგორ მოგწონს, ნოდარ, ძეგლი?” “ძეგლისა რა მოგახსენო, ძამა, მარა ამ ბაღში ანი ჩიტი ბუდეს რომ არ გაიკეთებს, აგი ნამდვილად ვიცის!”

ცეკაში მიმდინარეობდა თათბირი. ნოდარი თათბირს ესწრებოდა. ვიღაცამ მოიტანა ამბავი — მერაბ ბერძენიშვილი ხარაჩოვან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხაო. “ე, ბიჭო, უყრდეთ ამ კაცს ერთი პარაშუტი” — წამოიძახა ნოდარმა.

გიგლა ფირცხალავა რომ გარდაიცვალა, რამდენიმე დღის მერე “ნიანგის” რედაქციაში მოვიდა დამწყები მხატვარი და გვეკითხება — შეიძლება მე გიგლა რომ შევცვალო? “ნიანგის” თანამშრომლებმა კითხვაზე კითხვით უპასუხეს: “შეიძლება ჩვენ ზაქარია ფალიაშვილი შევცვალოთ?” და პასუხიც თავადვე გასცეს: “როგორ არა, თუკი “აბესალომის”, ან “დაისის” მსგავს ოპერას დაგწერთო!”

გიგლა ფირცხალავა ვერ იტანდა, როდესაც ვინმე მის ნათქვამს, მის გამოგონილ ანეკდოტს ან რაიმე სასაცილოს მოყვებოდა საზოგადოებაში. წამსვე წამოვარდებოდა და დაიწყებდა ყვირილს “ეგ ჩემია, არ მოყვე, არ მოყვეო”.



ნახ. ბესიკ ზუბაშვილისა

რედაქციის თანამშრომლები ერთმანეთთან ძალიან ვიყავით შეხუმრებულები. გიგლას მონაყოლიდან: გიზო ნიშნიანიძე ზემელზე ცხოვრობდა, გიგლა ფირცხალავამ გვიან ღამით მიაკითხა და უთხრა: კარგ პურ-მარილზე მივიღე და წამოდიო. ყველას გაუხარდება შენი ნახვა (გიზო ახლაც და ახალგაზრდობაშიც ძალზე პოპულარული იყო), ოღონდ აირწინალი წამოიღე, სანამ შევალთ გაიკეთე და მერე რომ მოიხსნი, ამას დიდი ეფექტი ექნებაო.

დააჯერა გიგლამ გიზო და აირწინალი გადაკიდა. რუსთაველის პროსპექტი რომ ჩაიარეს, მიუახლოვდა თუ არა გიგლა თავის სახლს (კოლმეურნეობის მოედანთან, ძნელაძის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა, გიზოს უთხრა: კარგად იყავი, მე სახლში მივიღე ვარო. გიზო აირწინალგადაკიდებული დარჩა რუსთაველის პროსპექტზე.

გიზო ნიშნიანიძე გაზეთ “თბილისის” რედაქციაში მუშაობდა. ამ დროს რედაქციის ერთ-ერთი განყოფილების გამგე იყო ამჟამად დამსახურებული ყურნალისტი ფარსადან თოფურია. ფარსადანს ცოლი არ ჰყავდა. მარტოხელა კაცი იყო და მაინც სამოთახიანი ბინა მისცეს, რომ იტყვიან “პო ბლატუ”. ეს გიზომ იცოდა და ერთ მშვენიერ დღეს ფარსადანს ბინა დაუღუტა. ოთხი დღე-ღამე დარბოდა ფარსადანი სხვადასხვა ინსტანციებში, ყველგან ეუბნებოდნენ, ჩვენ არ დაგვიღუტაო. ბოლოს ვიღაცამ შეიცოდა და უთხრა: გიზომ დაგიღუტაო. გაბრაზებულმა და გამწარებულმა ფარსადანმა დიდი ბოქლომი იშოვნა (ეკლესიის ბოქლომს რომ ეძახიან) და გიზოს ახალნაყიდი ავტომანქანის სახელურზე ჩამოკიდა. ჩაკეტა და გასაღები მტკვარში გადააგდო. ავტომანქანის სახელური კარის მთლიანობაში იყო, მისი ცალკე მოხსნა შეუძლებელი შეიქნა, მხოლოდ შედულების საშუალებით შეიძლებოდა. რამდენიმე დღე გიზომაც იარა ბოქლომშეკიდებული მანქანით.

შანი სინარულიძე

P.S. ამდენ ხანს არ მითქვამს და ახლა უნდა გამოვტყდე: “ბოქლომის ვარიანტი” მე ჩავაგონე ფარსადანს.

შ.ს.

— რა მსგავსებას ხედავთ ცოცხალ ნიანგსა და უფროსად “ნიანგს” შორის?

დ. ნ. — ორივესი ერთნაირად უნდა ემინოდეთ.

— განსხვავება?

დ. ნ. — გამწარებული ნიანგი მნახველს გადაყლაპავს, გამწარებული მკითხველი — “ნიანგს”.

— ხუმრობა გირჩევენიათ თუ მასხრობა?

დ. ნ. — მასხრობა არ მიყვარს, მაგას “შე ჩემა“, შენი დედა...“ და “ჩემი დედა...“ მოსდევს.

— ხუმრობთ თუ არა თათბირზე?

დ. ნ. — თუ მე ვატარებ, რეგულარულად.

— ახალი მანქანა ჯობს თუ ძველი?

დ. ნ. — ხელოსნისთვის და უგარაუო მძღოლისათვის — ძველი.

— რით გამოირჩევა ქალი-მძღოლი?

დ. ნ. — მოკლე კაბით და გრძელი ენით.

— ერთია თუ არა მანქანისა და საზამთროს ქურდი?

დ. ნ. — მანქანის ქურდი მთელი წელიწადი მუშაობს, — საზამთროსი — სეზონურად.

— გაიხსენეთ სასაცილო შემთხვევები თქვენი პრაქტიკიდან.

დ. ნ. — სიამოვნებით, ოღონდ დავასათაუროთ ნოველებივით.

სასტუმრო

კაი ხნის ამბავია, მე მაშინდელ ავტონისპექციის უსაყვარლესი კაცის, ჯიბილო ნიჟარაძის მოადგილედ ვმუშაობდი. ამბავი მოგვივიდა: მღეთის საგუშაგოდან უამრავი ვაჭლი გადის რესპუბლიკიდან (მაშინ ასეთი რამე აკრძალული იყო). დავჯექით ჯიბილოს “ნივაზე“ და გაქვანდით. გვიანი შემოდგომაა, ცივა. დუშეთის საგუშაგოსთან ისეთი ნისლია, სამ მეტრში ძროხას ვერ დაინახავ. როცა ავტონისპექციის საგუშაგოს ჩავუარეთ, ზედ ყურის ძირთან ვილაცამ დაგვისტვინა. მივიხედ-მოვიხედეთ: კაცი არ ჭაჭანებს. ცოტაზე რომ გავცდით, ჯიბილოს ვეუბნები: ერთი მოატრიალე, არ გაინტერესებს ვინ დაგვისტვინა-მეთქი?!

მოატრიალა. საგუშაგოს რომ გავუსწორდით, ისე დაგვისტვინეს, ყურები კინალამ გაგვეხვრიტა. გაჩერდით, მივიხედ-მოვიხედეთ, მანქანიდან გადმოვიდით: ძე სულიერი არ ჩანს. შევედით საგუშაგოს შენობაში. ინსპექტორებს სახელდახელო სუფრა გაეშალათ. ჩვენს დასახვანზე ფაციფუციტ ნაპოიშალენ. მარტო ერთი არ განძრეულა, ფანჯრისკენ მჯდარი.

— შენ რა გჭირს — ჩავევითხე მკაცრად — ნელკავი ხომ არა გაქვს-მეთქი?

— არა, უფროსო, მე სასტუმროზე ვზივარო, — მითხრა და წამოხტა.

— რა სასტუმროზე?! — გაუკვირდა ჯიბილოს. ფანჯრისკენ მჯდარმა საზოგადოებრივმა ინსპექტორმა რეზინის შლანგის ბოლო აიღო და ჩაბურა. ფანჯრის იქით მკვახედ გაისმა ინსპექტორის სასტუმროს ხმა. შლანგის ბოლოზე, ზედ გზის პირას, სასტუმრო იყო მიმდგარი პერმეტუალად.

ისეთი სიცილი აგვიტყდა მე და ჯიბილოს, მღეთამდე არ გაჩერებულვართ.

კახეთში

ერთხანობას ავტონისპექციის საჯარიმო სანქციები ჯიუტად უქცევდა გვერდს ადგილობრივ თანამდებობის პირებს, მათ მძღოლებს. ამის თაობაზე “ზემოდან“ არავითი შინაშენა დავიძახებოდა. დავჯექით, ვიმსჯელებთ და ასეთი რამ მოვიფიქრეთ: აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში

„ნიანგის“

ინტერვიუ თბილისის საგზაო პოლიციის შეფთან ღვთისმშობლის ძეგლის მფლობელთან

დასავლეთ საქართველოში დაკომპლექტებული ბრიგადები შევეუშეთ, დასავლეთში კი — აღმოსავლეთში კი შევეუშეთ მშენებელი გამოდგა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე ვიმყოფები ნიონიარაში (ახლანდელი დედოფლის-წყარო). საღამო ხანია, მთელი დღის ნამუშევრები ვართ. მერიდის მონაწილეები ახლაც მივხვდებით, მანქანებს აჩერებენ, ამოწმებენ, არის

ოქმების შედგენა და მძღოლების ხეწნა-მუდართა. სად იყო და სად არა, გზის პირას ნაპოიშართა ჯოხზე დაყრდნობილი, კარგა ნასვამი გლეხი და ყოველგვარი საღამოს გარეშე დედის გინებაზე გადავიდა: რას დარბიხართ, რასა ფმტვინთ, ხალხს რას ანიოკებთ თქვე ჩემანალებო, თქვენი დედა ასე და თქვენი მამა ისეო.

ციოდა და თბილყურებიანი ქუდი მესურა. ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი და ყურები მაღლა ავიკეცე. უფრო გარკვევით გავიგონე ჩვენი მისამართით გამოგზავნილი მრავალსართულიანი მხატვრული გინება.

— აქედან მოაცილე, თორე რაც მოუვა, თავს დააბრალოს-მეთქი! გავძახე ადგილობრივი მილიციის თანამშრომელს. გლეხმა შემომხედა და იმავე თანამშრომელს დაუძახა:

— ჯოო, მაგ ძალდა ყურები დააჭერ, უფრო ავი იქნება!.. ჩემი “უშანგის“ მაღლა აპრეხილ ყურებს გულისხმობდა.

მიზრალი მძღოლი

ინსპექტორებით სავსე მანქანის ცხვირწინ მძღოლმა უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები. გამოვევიდეთ და გავაჩერეთ. ჩამოვედი და მივედი მძღოლის ფანჯარასთან. თვალებს არ დავუჯერე — თავი საზურგეზე მიუდევს და ძილიდან ნახევრად გამოსული უაზროდ მიყურებს.

— ჩამობრძანდით მანქანიდან! — ვეუბნები გამწარებული.

— მე! — გაუკვირდა მძღოლს. ამ დროს მის გვერდით მჯდომი მგზავრი

გადმოვიდა, მანქანას შემოუარა და საბუთები მომანოდა. — თქვენ დაბრძანდით სადაც იჯექით, — ვუთხარი ცივად, — თქვენი საბუთები მე არ მჭირდება.

— კი მაგრამ მძღოლი მე ვარ!

— მძღოლი ის არის, ვინც საჭესთან ზის, — ავუსხენი მკაცრად, — ავტომანქანის მფლობელი შეიძლება მძღოლი არ იყოს. გადმობრძანდით მანქანიდან! — მივუბრუნდი მძღოლს, რომელიც რის ვაი-ვაგლახით გადმობრძოდა და წინ დამიდგა. ვხედავ, გაკვირებული მიმხერს და ძლივს იცავს წონასწორობას.

— თქვენ მთვრალი ხართ! — ვეუბნები მკაცრად. — მაგრამ! ბოლომდე შევეუბრეთ! — მეთანხმება მძღოლი, — ამ პეტუსმა კი წვეთიც არ დალია! — მიუთითა მგზავრზე.

— მერე საჭესთან ეგ ვერ დასვი?! განა არ იცით, რომ მთვრალი მძღოლი პოტენციური მკვლელია!

— ვიცი უფროსო და იმიტომაც ვეჯექი გვერდზე, ეგეთი მთვრალი საჭესთან ხომ არ დავჯდებოდი.

ამ ცოცხალმა ტყუილმა კინალამ ჭკუიდან გადამიყვანა. — როგორ, ახლა ამ სავარძელზე არ იჯექით?!

— დიას, ვიჯექი!

— მერე?!

— მერე ისა, უფროსო, რო საჭე მაგ სავარძელთან კი არ არი, იქითაა, მარჯვნივ, ეგ დამაალი იაპონელები საჭეს უკუღმა აყენებენ, მე მაგათი!..

ენა ჩამივარდა, მერე სიცილი ამიტყდა. ცოტა ხანში ყველას ისეთი მხიარულება დაგვეუფლა, თენგიზ ჩანტლაძის თეატრი გვეგონებოდა. უხეში დარღვევა დაგვაკინცდა.

— რას უსურვებდით “ნიანგს“? დ. ნ. — ჯიხურებში სწრაფად გამქრალიყოს და ზოოპარკში გაჩენილიყოს!

ესაუბრა მამა თეოლია

შაჩიანი შაჩიანი

ველოსიკლინი
ჩივილი

ალექსი ჭინჭარაშვილი

შინაბერას

დედობა! — ქალის პირველი
საქმე!
სხვა ყველა "სხვაა", — კარგიც,
რიოშიც...
შენ შენი საქმე დასთმე თუ დაჰ-
გმე
და ცოდვა მიგაქვს საიქიოში...

ბერბიჭს

ცოლი არ მოგყავს, "არა გაქვს
მოცლა",
დედას, ახლობლებს ცრემლით
ატირებ...
ბერბიჭაშვილმა ილია მოკლა,
ბერბიჭ, შენ ერის მოკვლას
აპირებ?!

ზაღუნ ზელანია

ზოგს მფარველობს მუჰამედი,
ზოგს პატრონობს ოსირისი...

რუსი თუ არ მიეზმარა,
მაქნისია ოსი რისი?!

არაფერი გამოგივა,
თუ ხრიოკზე თესე თესლი.
შორს რა გინდა — აგერაა
მაგალითი ესენგესი!


ნეტა სადმე თუ გალობენ
იმნაირი ნეტარებით,
როგორც დედასაქართველოს
ჭიკჭიკ-პარლამენტარები?

წუხელ ღამით, სიზმარ-ცხადში,
მეუბნება ჯიქურ ღმერთი:
ივერია აღარ გქვიათ,
ახლა ხართო ჯიხურეთი!

მთელი „ევროპა“ ხელში უჭირავს,
წუ გეგონებათ ეული ჩრჩილი!
ამბობენ იღებს და სხვასაც აძლევს
ჩვენი მამულის რჩეული შვილი.

თბილისის განათლების
სამმართველოს ველოტ-
რეკი უზნაძის ქუჩაზე
(ყოფილი კამოს) №89-ში
მდებარეობს. მის ტერიტო-
რიაზე განლაგებული
საამქროები სხვადასხვა
საქმიანობას ეწევიან,
გარდა ველოტრეკისთვის
სასარგებლო საქმიანობისა.
აქვე იყიდება სპირტინი
სასმელები, რაც ხელს
უწყობს ველოსიპედზე
ჯდომას, მის განონას-
წორებას და წინსვლას.
"ნიანგს" ხელთა აქვს
"საქართველოს კანონი
სპორტის შესახებ" და ამ
საკითხს კვლავ დაუბ-
რუნდება. მანამდე კი
კარგი იქნება ველოტ-
რეკზე დაფუძნებულმა
ბიზნესმენებმა მოგებიდან
20% ველოსაქმეს რომ
დაუთმონ.

თოვლის ბაბუა



ნახ. ბენიკ ზუბაშვილისა


დებიუტი



- გამოეთრიე, ახალ წელს მანდ უნდა შეხვდე?!
- მე ოჯახის უფროსი ვარ და სადაც მინდა, იქ ვიქნები!

- ერთგული ცოლი გყავს, ძმაო, ერთგული!
- მართალი ბრძანდები, ვის არ გაყვა, სად არ იყო, მაგრამ, ბოლოს მაინც მე დამიბრუნდა!

- ბებო! მაგ ბალონს რომ დატენი, მერე ჩვენსაზე გადმოჯექი!



არ დაიჯეროთ, ბატონო ჩემო!

დადის ცნობილი კაცის სახელით,
დაყენებული ხმითა და რიხით!
არ დაიჯეროთ, ბატონო ჩემო! —
კაცი კი არა, ტოლმაა იხვის!

ნაფეხურებსაც უკოცნის დიდებს,
მაგრამ პატარებს ღდინს აცლის, ვიცი.
მლიქვნელი როა და ცინიკოსი,
ამას არ უნდა ფიცი და მტკიცი!

რომ დააკვირდეთ, მაინც ვერ იცნობთ,
აქვს პატრიოტის, ვაჟკაცის რიხი!
არ მოტყუვდეთ და არ დაიჯეროთ! —
კაცი კი არა, ტოლმაა იხვის.

რას დაემსგავსა, იცოდეს ნეტავ?!
ნახოს, ვინ არის ბრმა ორივე თვალით!
მისგან ვინც არის შორს, მას რა უშავს,
ვინც ახლოსაა, ვაჰ, მისი ბრალი!



- მაგ ბურთები მეც მინდა შვილო!

უცნაური ქი

ჩვენზე უფრო უცნაური არსად არის, ალბათ, ერი! შიმშილის დროს, იმის ნაცვლად, რომ დავთესოთ მეტი ქერი, ვუცდით, ჰუმანდახმარების როდის მოვა ჩვენი ჯერი. თავის დროზე ვმტრობდით ჰესებს, კაბელებიც გადავჭერით, დღეს კი ვითხოვთ მეგავატებს და ხელებში სხვას შევცქერით.

ჩვენზე უფრო უცნაური არსად არის, ალბათ, ერი! მაშინ, როცა შეგვეცილა ძირძველ მინებს ჩვენი მტერი, სწორედ მაშინ მოვამრავლეთ ბროკერი და მენეჯერი,

სტუდენტი თუ ვაჭრუკანა, ტურისტი თუ პარტიდერი... აღარ შეგვრჩა ბრძოლის ველზე რიგითი და ოფიცერი!


ჩვენზე უფრო უცნაური არსად არის, ალბათ, ერი! რაც რომ მომხდურს ჩვენთან შერჩა ოინები უდიერი, ძმას ათმაგად ვაზლვევინეთ, არ შევუნდეთ არაფერი. თუ გარეშეს მოვურიგდით და დაგვირჩა მადლიერი, ქვეყნის შიგნით ვერ მორიგდა იმიერთან ამიერი.

ჩვენზე უფრო უცნაური, მართლაც, არსად არის ერი!

ირაკლი ბუსნიკაშვილი




ნახ. ბუსნიკაშვილისა



- თუ ფაქს ოფ მარლბორო, ფლიიზ!
- რარ, რას ამბობს?

ნახ. გივი ლომიძისა



- უნდა მოვკლა, სტუმარს უკბინა!
- კარგი უქნია, რა დროს სტუმარია ამ გაჭირვებისას!

ნახ. ამირან მრამდისა
თემა მალხაზ მირაკვილიშვილისა

„ნიანგის“ იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: მე და ჩემი მეუღლე ვართ უმუშევრები, ველოდებით მეშვიდე შვილს. გვეკუთვნის თუ არა დახმარება?

პასუხი: უფასოდ გვეკუთვნით ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებები.

კითხვა: არის თუ არა შეღავათი ინვალიდებისათვის საქალაქთაშორისო ავტობუსით მგზავრობისას?

პასუხი: საერთოდ არა, მაგრამ ჩვენთან — კი. ინვალიდებისათვის უფასოდ გაიცემა „ვხადნოი“ ბილეთები.

კითხვა: ხუთი თვე ვიმყოფებოდი აფხაზეთის ომში, საიდანაც გაუფრთხილებლად წამოვედი. არა მაქვს სამხედრო ბილეთი. ცეცხლის ხაზზე არ ვყოფილვარ „კალაშნიკოვის“ უქონლობის გამო (თხოვებით არავინ მათხოვა) მეკუთვნის თუ არა სამხედრო პენსია?

პასუხი: თქვენ უნდა მიბრძანდეთ სამხედრო კომისარიატში ზილების აღსაღებად, სადაც გაგარკვევენ, რატომ არ გვეკუთვნით ბილეთი.

ამის შემდეგ წაბრძანდებით თავდაცვის სამინისტროში, სადაც გაგარკვევენ, რატომ არ გვეკუთვნით სამხედრო პენსია.


კითხვა: რა დახმარებებია გათვალისწინებული ახალგაზრდა უმუშევარი დედისთვის?

პასუხი: „ნიანგმა“ პასუხი პირდაპირ გადმოგეჭდა „კვირის პალიტრიდან“ (№14, გვ. 17).

„დიასახლისები მოქმედი კანონმდებლობით არ განეკუთვნებიან უმუშევართა კატეგორიას, რადგან მათ არა აქვთ მუშაობის პირობები (მცირეწლოვანი ბავშვების მოვლასთან დაკავშირებით) და შესაბამისად, არ ეძებენ სამუშაოს.

საქ. სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი.“

როგორც იტყვიან, კომენტარი უხერხულია!



ნახ. ბასიკ ზუბაშვილისა

დაუპატიუებელი სტუმარი

გალაქტიონს ყველაფერი ეპატიება — მითხრა ერთხელ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე გულიანად გადაიხარხარა. ერთი ერთზე ე.ი. პირისპირ ბევრჯერ გვისაუბრია მე და ბატონ კონსტანტინეს. ამჯერად დიდ გალაქტიონზე ვსაუბრობდით, მის უცნაურობაზე, გენიოსებს რომ ჩვევიათ.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე საბჭოთა პერიოდში თითქმის ყველა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გამორჩეული პიროვნება იყო. მის სახლში ხშირად იმართებოდა წვეულება, სადაც თავს გამოჩენილი პიროვნებები იყრიდნენ.

იმ დღეს საახალწლო სუფრა იყო გაშლილი კოტე მარჯანიშვილის ქუჩაზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის ბინაზე. ამავე

სახლში მის მეზობლად ცხოვრობდა ერთი "ბოჰემა" პოეტი, გალაქტიონ ტაბიძე. მისი ჩაცმულობაც კი იმაზე მიგანიშნებდა, რომ ის ზეცაში დაფრინავდა და ამქვეყნიური ამბები არ აინტერესებდა. დაჭმუჭნილი კოსტუმი და იღლიაში ამოდებული შლაპა — მიგანიშნებდა, რომ ეს კაცი სხვებს არ ჰგავდა თავისი ხასიათითა და ქცევით.

სუფრა ეშხში იყო შესული, როცა კარი გაიღო და დაუპატიუებელი სტუმარი, შეზარხოშებული გალაქტიონი შემოვიდა.

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ბატონი კონია არ დაიბნა, — მობრძანდი, ჩემო გალაქტიონ! — წამოიძახა მან და სკამი შესთავაზა. გალაქტიონი არ დაჯდა, სუფრასთან იდგა და ხმას არ იღებდა. კონსტანტინემ ჩვეული

ოსტატობით კარადაში ყველაზე დიდი ბროლის სასმისი შეარჩია, გალაქტიონს წინ დაუდგა და მისი ღვინით შევსება დაიწყო. სასმისში ლიტრანახევარი ღვინო ჩავიდა. გალაქტიონმა სასმისს ხელი მოკიდა. კვლავ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. ელიან გალაქტიონისაგან ლექსს, ან საახალწლო მილოცვას. გალაქტიონი ერთ ადგილს მისჩერებოდა ჭერში და თანაც რალაცის სათქმელად ემზადებოდა. ბოლოს ხმამაღლა წამოიძახა "ეს რა დამემართა, კაცო, ეს რა დამემართა!" და ბროლის სასმისს ხელი გაუშვა. სასმისი იატაკზე დაეცა, დაიმსხვრა, ღვინო ერთიანად დაიღვრა. გალაქტიონი ოთახიდან გავიდა და გაოგნებული დატოვა საქციელწამხდარი მოქეიფეები.

ქანი სიხარულიძე



ნახ. იური ყინიშვილისა



— ხომ გითხარი, ქალბატონო, თქვენს საქმეს ერთი ხელის მოსმით მოვაგვარებ-თქო!

ნახ. ვახტანგ კუციანი



შურნალი "ნიანგი", №1(1896)
იანვარი, 1998 წ.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან



მთავარი რედაქტორი ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახტანგ დონაძე (ტექნიკური რედაქტორი), ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ლერი ჩანტლაძე (ლიტერატურული რედაქტორი) ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივნიცაძე.

ხელმოწერილია დასაბუქდად 10. 12. 97. ფორმატი 60X84¹/₂; სააღრ. - საგამომცემლო თაბახი 2; შეკვ. №16890. ტირაჟი 3000. გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბა. ყურნალი გამოდის თვეში ერთხელ; რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ; რეგისტრაციის № 4/4—1263.


რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი — 8; რუსთაველის პრ. №42.
ტელეფონები: 93-19-42; 93-49-32; 99-55-54

ინდექსი 76137 ფასი 60 თეთრი




გაგეწმინდე ავი ზნისაგან,
იმედის წელო, ახალო,
რომ მომაგაღ წელს არ გვეთქვას
“რა გითსრათ? რით გაგასაროთ?”

გურამ კლიაშვილი



- ბოდიში, ქალბატონო, ეს თქვენი ორგანოა?
თემა მზია მებაღიშვილისა



- თუ ვაჟკაცი ხარ, ქალი ასეთ მდგომარეობაში
უყურადღებოდ არ უნდა დატოვო!

ნახატები მურთაზ აბაშიძისა